



რეგისტრაციის N 59/36

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ანგარიში

ფინანსური აუდიტის ანგარიში



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

გვ. N1

“ ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ ”

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

თორნიკე შერმადინი

„ 15 “ 12 “ 2017 წელი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ანგარიში *ლ 59/36*

თბილისი

2017

სარჩევი

ტერმინთა განმარტებები	3
ინფორმაცია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შესახებ	4
1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა.....	5
1.1 უარყოფითი მოსაზრება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ	5
1.2 უარყოფითი მოსაზრების საფუძვლები	5
1.2.1 გრძელვადიანი ფინანსური აქტივები და მოთხოვნები	5
1.2.2 სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები და არასაოპერაციო შემოსავლები	6
1.2.3 სხვა მატერიალური მარაგები	6
1.2.4 არაწარმოებული აქტივები	6
1.2.5 შემოსავლები	7
1.2.6 სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები და სხვა ხარჯები	7
2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.....	8
2.1 აქტივების რეალიზაცია.....	8
2.2 გაცემული კომპენსაციები.....	8
2.3 ვადაგადაცილებული მოთხოვნები	8
2.4 შრომის ანაზღაურება.....	9
2.5 ავტოსატრანსპორტო საშუალებები.....	9
2.6 ავანსის სახით გადარიცხული თანხები	9
3. ხელმძღვანელი პირების ვალდებულებები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით.....	11
4. აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით.....	11
ფორმა N1 ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება (ბალანსი).....	14
ფორმა N2 ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგება	15
ფორმა N3 ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგება	16
ფორმა N4 კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგება	17
ფორმა N5 ბიუჯეტის და ფაქტიური თანხების შედარების ანგარიშგება.....	18
განმარტებითი შენიშვნები	19

ტერმინთა განმარტებები

სამინისტრო-საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;

სამინისტროს აპარატი-საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აპარატი;

მინისტრი - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი;

აღრიცხვის ინსტრუქცია - საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის 429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია;

სსდ - სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება;

ფონდი - სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი“;

დეპარტამენტი - სსდ „საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი“.

ინფორმაცია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შესახებ

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მთავარი ამოცანაა ქვეყნის რეგიონებში გრძელვადიან სარგებელზე გათვლილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება.

სამინისტროს 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცებული გეგმა (ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	სულ	საბიუჯეტო სახსრები	გრანტი	კრედიტი
25 00	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	950,000	385,950	42,000	522,050
	მომუშავეთა რიცხოვნობა	376	376	-	-
	ხარჯები	362,929	131,334	35,950	195,645
	შრომის ანაზღაურება	8,444	8,444	-	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	442,031	208,816	6,050	227,165
	ფინანსური აქტივების ზრდა	136,040	36,800	-	99,240
	ვალდებულებების კლება	9,000	9,000	-	-

ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება¹ გადანაწილებულია შემდეგნაირად (ათას ლარებში):

საბალანსო ერთეულის დასახელება	971,818	100%
სამინისტროს აპარატი	154,290	16%
სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი	287,460	29%
სსიპ ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი	278,582	28%
სსდ - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი	251,216	26%
სსიპ ვანო ხუბუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემისა და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრი	270	1%

¹ ფინანსური ანგარიშგების „ფორმა N2 - ის“ მიხედვით, გარდა ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსებისა, შემოსავლებმა შეადგინა 24,125 ათასი ლარი

1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ხელმძღვანელობას

1.1 უარყოფითი მოსაზრება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ფინანსური შედეგების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ბიუჯეტისა და ფაქტობრივი თანხების შედარების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ასევე მათთან დაკავშირებულ კონსოლიდირებულ დანართებს² მოცემული თარიღით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდისათვის.

ჩვენი აზრით, უარყოფითი მოსაზრების საფუძვლების აბზაცში აღწერილი საკითხების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენის მნიშვნელობის გამო, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად არ ასახავს სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ შედეგებსა და კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად.

1.2 უარყოფითი მოსაზრების საფუძვლები

1.2.1 გრძელვადიანი ფინანსური აქტივები და მოთხოვნები

სამინისტროს აპარატის ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივად არის ასახული შპს „თეთნულდისა“ და შპს „ინფრასტრუქტურის განვითარების კომპანიის“ კაპიტალში განხორციელებული შენატანები ჯამური თანხით 76,642,055 ლარი (შესაბამისად 44,341,075 ლარი და 32,300,980 ლარი). 2016 წელს ზემოხსენებულ კომპანიებზე სამინისტროს შეუწყდა კონტროლის უფლება და აღრიცხვის ინსტრუქციის³ შესაბამისად ხარჯებში უნდა ჩამოეწერა აღნიშნული ნაშთი, რაც არ განხორციელებულა.

შედეგად, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების „ფორმა N1-ში“ გრძელვადიანი ფინანსური აქტივებისა და მოთხოვნების ნაშთი არასწორად არის გაზრდილი 76,642,055 ლარით, ხოლო „ფორმა N2-ში“ ხარჯები („გრანტები“) იმავე თანხით შემცირებული.

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების „ფორმა N1-ში“ გრძელვადიანი ფინანსური აქტივებისა და მოთხოვნების ნაშთად ასახულია ფონდის მიერ საქართველოს მთავრობის საპარტნიორო ფონდში („2005 წლის 11 მარტს იაპონიის მთავრობის მიერ საქართველოს მთავრობისათვის გამოყოფილი 300 მილიონი იენის ოდენობის არასაპროექტო გრანტისა და

² საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანება. დანართები 1-დან 12-ის ჩათვლით (იხ. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე www.sao.ge)

³ 27-ე მუხლის მე-7 პუნქტი

2006 წლის 16 მარტს იაპონიის მთავრობის მიერ საქართველოს მთავრობისათვის გამოყოფილი 800 მილიონი იენის ოდენობის არასაპროექტო გრანტის ფარგლებში შექმნილი საქართველოს მთავრობის საპარტნიორო ფონდი⁴) განხორციელებული 4,163,738 ლარის შენატანები, რასთან დაკავშირებითაც ვერ მოვიპოვეთ აქტივად აღიარების დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტაცია და შესაბამისად ვერ მივიღეთ რწმუნება აღნიშნული ფინანსური აქტივის არსებობის შესახებ.

1.2.2 სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები და არასაოპერაციო შემოსავლები

ფონდის მიერ 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადაფასებულია უცხოურ ვალუტაში გაცემული ავანსების ნაშთი, რომელიც აღრიცხვის ინსტრუქციის⁴ მიხედვით გადაფასებას არ ექვემდებარება. გადაფასების ეფექტმა შეადგინა 1,631,128 ლარი, შესაბამისად 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შეცდომით არის გაზრდილი „ფორმა N1-ში“ სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები და „ფორმა N4-ში“ არასაოპერაციო შემოსავლები („კურსთა შორის სხვაობით მიღებული შემოსავალი“).

1.2.3 სხვა მატერიალური მარაგები

დეპარტამენტის 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია 6,153,398 ლარის ღირებულების მარაგები („სხვა მატერიალური მარაგები“). დეპარტამენტის მიერ ჩატარებული ინვენტარიზაციის აქტში დაფიქსირებული მონაცემების ბუღალტრულ ჩანაწერებთან შედარება შეუძლებელია.

გარდა ამისა, ინვენტარიზაციის აქტების მიხედვით, ვერ განხორციელდა შპს „ნიუ-ენერჯის“ ტერიტორიებზე განთავსებული დეპარტამენტის კუთვნილი მარაგების დათვალიერება.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ვერ მივიღეთ რწმუნება 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების „ფორმა N1-ში“ ასახული 6,264,609 ლარის სხვა მატერიალური მარაგების სისრულესა და არსებობაზე.

1.2.4 არაწარმოებული აქტივები

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დეპარტამენტის ბალანსზე ასახულია ის მიწის ნაკვეთები⁵ (არაწარმოებული აქტივები), რომლებიც სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ მონაცემებით წარმოადგენს სხვა იურიდიული პირის (შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“) საკუთრებას - ჯამური ღირებულებით 134,128 ლარი. აღრიცხვის ინსტრუქციის⁶ შესაბამისად, „არაფინანსური აქტივებით ოპერაციები აღრიცხვაში აისახება მაშინ, როდესაც ხდება არაფინანსურ აქტივებზე საკუთრების უფლების მოპოვება ან დათმობა“. შესაბამისად, აღნიშნული აქტივები ანგარიშგებაში ასახვის კრიტერიუმს არ აკმაყოფილებს.

4 42-ე მუხლის მე-19 პუნქტი

5 საკადასტრო კოდები: N 42.06.12.740; N 42.06.12.711; N 42.06.12.715; N 42.06.12.752; N 42.06.12.707; N 42.06.46.001

6 45-ე მუხლის 1-ლი პუნქტი

1.2.5 შემოსავლები

საანგარიშგებო პერიოდში ფონდმა ერთ-ერთ კომპანიას დააკისრა სანქცია 1,250,000 ა.შ.შ დოლარის ოდენობით (3,354,625 ლარი⁷). აღნიშნული თანხა და მსგავსი შინაარსის მქონე სხვა სანქციები (ჯამური თანხით 354,100 ლარი) შემოსავლების მუხლში აღიარების ნაცვლად აისახა კაპიტალის ანგარიშზე, რაც ეწინააღმდეგება აღრიცხვის ინსტრუქციის⁸ მოთხოვნებს.

შედეგად, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების „ფორმა N2-ში“ შემოსავლები შემცირებულია 3,708,725 ლარით.

1.2.6 სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები და სხვა ხარჯები

ფონდის ფინანსურ ანგარიშგებაში „ფორმა N1-ში“ სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებების ნაშთი 1,633,472 ლარით არის გაზრდილი, რაც გამოწვეულია რამდენიმე კრედიტორთან დაკავშირებული პირველადი დოკუმენტაციის ბუღალტრულ პროგრამაში დუბლირებით გატარებით. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მაკორექტირებელი გატარება არ განხორციელებულა და შედეგად ვალდებულებების ნაშთი არაზუსტი თანხით აისახა 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. ამავე თანხით გაზრდილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების „ფორმა N2-ში“ სხვა ხარჯები.

ფონდის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგებაში „ფორმა N2-ში“ სხვა ხარჯების ნაშთში ასახულია 22,052,537 ლარის ხარჯი, საიდანაც ფონდის მიერ გახარჯული თანხა შეადგენს 1,156,963 ლარს, ხოლო დანარჩენი 20,895,573 ლარი წარმოადგენს დონორის მიერ განხორციელებულ პირდაპირ ჩარიცხვებს სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, რომლებიც ახორციელებდნენ ფაქტობრივ ხარჯვას და არ არიან ანგარიშვალდებულნი სამინისტროს აპარატის ან/და ფონდის წინაშე. 20,895,573 ლარის ხარჯებთან დაკავშირებით, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში არ არის აღწერილი შესაბამისი გარემოებები, რაც არ შეესაბამება აღრიცხვის ინსტრუქციას⁹.

აუდიტს წარვმართავდით უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი ანგარიშის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით“. ჩვენ, უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) ეთიკის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად, ვართ სამინისტროსგან დამოუკიდებელი აუდიტორები და შესრულებული გვაქვს INTOSAI-ს მიერ დაწესებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

7 2016 წლის 19 დეკემბრის გაცვლითი კურსი

8 22-ე მუხლის მე-2 პუნქტი

9 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტი

2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

2.1 აქტივების რეალიზაცია

2013 წლის 5 დეკემბერს დეპარტამენტმა, რუისი-რიკოთის მონაკვეთზე ავტობანის მშენებლობის საჭიროებისთვის, კერძო სამართლის იურიდიული პირისგან კომპენსაციის სახით შეისყიდა 1,393,000 ლარის ღირებულების აქტივები (10 ცალი თხევადი გაზის რეზერვუარი და სხვადასხვა მაკომპლექტებული მასალები). კომპენსაციის თანხა განისაზღვრა შპს „დამოუკიდებელ შემფასებელთა და აუდიტორთა კომპანია აუდიტესკორტის“ 2013 წლის 3 ივნისით დათარიღებული დასკვნის საფუძველზე. ანგარიშის მიხედვით საბაზრო ღირებულება განისაზღვრა შეფასების საერთაშორისო სტანდარტების შესადარისი გაყიდვების შედარების ანალიზის მეთოდით. შესაფასებელი ობიექტის ანალოგები (3 ანალოგი) მოძიებულ იქნა უცხო ქვეყნის ბაზარზე, რაც ანგარიშში დასაბუთებულია საქართველოს ბაზარზე ინფორმაციის არარსებობით და შესაბამისი კორექტირებების გამოყენებით გაანგარიშდა საბაზრო ღირებულება.

დეპარტამენტმა 2016 წელს აღნიშნული აქტივები განსაკარგავად გადასცა სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“, რომელმაც 2016 წლის 27 მაისის დასკვნის საფუძველზე შეაფასა 280,640 ლარად. ანგარიშის მიხედვით საბაზრო ღირებულება განისაზღვრა თავისუფალ წყაროზე განთავსებული მსგავსი პროდუქციის საფუძველზე და არ არის მითითება რაიმე კორექტირებების გათვალისწინებაზე. ჩვენ ვერ მოვიძიეთ ანგარიშში მითითებული თავისუფალი წყარო (ვებსაიტი).

მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ფასდაკლებების ნორმების გათვალისწინებით ელექტრონული აუქციონის წესით რეალიზაციის შედეგად მიღებულმა თანხამ შეადგინა 149,095 ლარი, რაც დეპარტამენტის მიერ იმავე აქტივში გადახდილ თანხასთან შედარებით 1,243,905 ლარით ნაკლებია და სხვაობით მიღებული ზარალი ბუღალტრულად არც ერთ ორგანიზაციაში არ აისახა.

2.2 გაცემული კომპენსაციები

განსახლებებთან დაკავშირებით ფონდსა და ბენეფიციარებს შორის გაფორმებულ შეთანხმებებს, აქტებსა და ხელშეკრულებებს ხელს აწერს ფონდის მინდობილი პირი. 2015 წლის 20 ივლისს მინიჭებულ მინდობილობას ძალა ჰქონდა 2015 წლის 31 დეკემბრამდე, განახლებული მინდობილობა დათარიღებულია 2016 წლის 6 მაისით. შესაბამისად, ბუღალტრული ჩანაწერების მიხედვით აღნიშნულ შუალედში (2016 წლის 1 იანვრიდან-2016 წლის 5 მაისის ჩათვლით) განხორციელებულ ტრანზაქციებზე (3,146,978 ლარი) დაფიქსირდა არაუფლებამოსილი პირის ხელმოწერა.

აღნიშნულ პერიოდში ფიზიკური და იურიდიული პირებისგან შესყიდული უძრავი ქონება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ამონაწერების მიხედვით დარეგისტრირებულია სახელმწიფოს საკუთრებაში.

2.3 ვადაგადაცილებული მოთხოვნები

ფონდის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მიმართ არსებული დებიტორული დავალიანება 2,143,360 ლარის ოდენობით, რომელიც წარმოშობილია შესაბამისი სასესიო ხელშეკრულებების საფუძველზე და წარმოადგენს ვადაგადაცილებულ მოთხოვნას, რადგან მუნიციპალიტეტმა უარი განაცხადა ვალდებულების აღიარებაზე.

ფონდის ფინანსურ ანგარიშგებაში ასევე ასახულია შპს „საქართველოს წყალმომარაგების კომპანიის“ მიმართ ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანება 3,447,644 ლარის ოდენობით.

ამჟამად ფონდის მიერ მიმდინარეობს შესაბამისი ღონისძიებები აღნიშნული დავალიანებების ამოღებასთან დაკავშირებით.

დეპარტამენტს აღრიცხული აქვს სს „საგზაო კომპანია თბილისის“ მიმართ დებიტორული დავალიანება 5,337,341 ლარის ოდენობით, რომელიც წარმოადგენს 2015 წლის 30 იანვარს გაცემულ ავანსს. აღნიშნულ ვადაგადაცილებულ დავალიანებასთან მიმართებით მიმდინარეობს სასამართლო დავა.

2.4 შრომის ანაზღაურება

სამინისტროს აპარატის და დეპარტამენტის ყველა თანამშრომელს დანიშნული აქვს ყოველთვიური დანამატი (შესაბამისად მინისტრის და დეპარტამენტის თავჯდომარის ბრძანებით).

სამინისტროს სისტემაში თანამშრომლებზე სულ 2016 წელს „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეულია 11,818,119 ლარის საკასო ხარჯი, მათ შორის დანამატი 1,909,454 ლარი, რაც „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეული საკასო ხარჯის 16.2%-ს შეადგენს.

საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით დანამატის კატეგორია მოიცავს არასამუშაო საათებში, ღამის ცვლაში, სადღესასწაულო და დასვენების დღეებში მუშაობისათვის განკუთვნილ დამატებით საზღაურს და კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნებისმიერ სხვა დანამატს, მათ შორის განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვის საზღაურს. ხოლო ერთი ბრძანების საფუძველზე წინასწარ მთელი წლის განმავლობაში დანამატის დანიშვნა თანამდებობრივი სარგოს ხასიათს უფრო ატარებს, ვიდრე დანამატის, რაც გამართლებულ პრაქტიკად ვერ ჩაითვლება. დანამატების გაცემის არსებული პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფს შრომის ანაზღაურების სათანადო გამჭვირვალობას, ვინაიდან ბრძანებები ზოგადია და არ არის სათანადოდ დასაბუთებული.

2.5 ავტოსატრანსპორტო საშუალებები

დეპარტამენტის მიერ 2016 წელს შესყიდულ იქნა მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომანქანა¹⁰, რომელიც არ შეესაბამება საქართველოს მთავრობის N121 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. კერძოდ, შესყიდვის პროცედურებით (შესყიდვა განხორციელდა ფასთა გამოკითხვის მეთოდით - დონორის დაფინანსება) არ არის დადგენილი ავტომანქანის ზღვრული ფლობის ღირებულება. ტექნიკური მახასიათებლების მიხედვით, შესყიდული ავტომანქანა შეესაბამება ზემოაღნიშნული დადგენილებით განსაზღვრული მაღალი გამავლობის ავტომანქანების კლასი II-ს, რომლის ზღვრული ფლობის ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 26,500 ა.შ.შ დოლარის ექვივალენტს ლარში (63,759 ლარი 28 დეკემბრის მდგომარეობით). თუმცა, შესყიდული ავტომანქანის მაჩვენებლების გათვალისწინებით, მისი ზღვრული ფლობის ღირებულება შეადგენს 72,070 ლარს (სერვისის გაუთვალისწინებლად), რაც აღემატება დადგენილებით განსაზღვრულს.

2.6 ავანსის სახით გადარიცხული თანხები

2016 წლის დეკემბრის თვეში ფონდის მიერ წინასწარ, ავანსის სახით გადარიცხული სახსრების მოცულობამ 32,744,800 ლარი შეადგინა, რაც მთლიანი 2016 წლის განმავლობაში ავანსად გადარიცხული თანხების (69,278,913 ლარი) 47%-ს შეადგენს.

აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი ხელშეკრულების¹¹ შემთხვევაში 30 დეკემბრს განხორციელდა საავანსო თანხის გადახდა 758,250 ლარის ოდენობით, სახელშეკრულებო თანხის (7,998,917 ლარი) 9%, სადაც წარმოდგენილი

¹⁰ „KIA SORENTO“

¹¹ „JV ECORYS Nederland B.V. (Netherlands)“ - თან 2016 წლის 1 ნოემბრის გაფორმებული ხელშეკრულება (SRMIDP/C/QCBS/03-2015)

„ABN-AMRO-ს“ საბანკო გარანტია არ იყო დამოწმებული დამკვეთის ქვეყნის საფინანსო ინსტიტუტის მიერ, რაც ხელშეკრულების მიხედვით ავანსად თანხის გაცემის მოთხოვნებს ეწინააღმდეგებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ შემთხვევებში ფისკალური წლის ბოლოს ბიუჯეტის გადასახდელების ზრდა შეიძლება დაკავშირებული იყოს ობიექტურ გარემოებებთან, აღნიშნულ მუხლში არსებითი ზრდა საჯარო ფინანსების მართვაში არსებულ სისტემურ ხარვეზებზე მიუთითებს და ქმნის საბიუჯეტო რესურსების არაეფექტიანად და არამიზნობრივად გახარჯვის რისკს.

3. ხელმძღვანელი პირების ვალდებულებები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს ორგანიზაციის უნარი უწყვეტად განაგრძოს საჯარო მომსახურების მიწოდება, როგორც ფუნქციონირებადმა ერთეულმა, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში უნდა გაამჟღავნოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი და გამოიყენოს აღნიშნული პრინციპი ბუღალტრულ აღრიცხვაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახელმწიფოს გადაწყვეტილი აქვს ორგანიზაციის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა.

ხელმძღვანელი პირები პასუხისმგებელნი არიან კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის კონტროლზე.

4. აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და გამოვცეთ აუდიტის დასკვნა, რომელიც მოიცავს აუდიტის მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას, რომ ISSAI-ის მიხედვით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და ჩაითვლება არსებითად, თუ მოსალოდნელია, რომ ცალკე ან ჯამურად ისინი ზეგავლენას მოახდენენ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ISSAI - ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტის ფარგლებში, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს აუდიტის მსვლელობისას. ამასთანავე:

- ვახდენთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არსებითი უზუსტობის რისკის იდენტიფიცირებას და შეფასებას, რომელიც შესაძლოა დაშვებულ იქნეს თაღლითობის ან შეცდომის გამო, ვსაზღვრავთ და ვატარებთ ამ რისკების შესაფერის აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი დასკვნის გამოსატანად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. რისკი იმისა, რომ თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა არ იქნება აღმოჩენილი - უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით დაშვებულის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს მოლაპარაკებას, გაყალბებას, განზრახ ინფორმაციის გამოტოვებას, დამახინჯებას ან დადგენილი შიდა კონტროლის მექანიზმების იგნორირებას.
- ვსწავლობთ შიდა კონტროლის ფუნქციონირებას ისეთი აუდიტორული პროცედურების შესამუშავებლად, რომლებიც შესაფერისია არსებულ გარემოებებთან და არა იმისათვის, რომ გამოვხატოთ მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტიანად მუშაობაზე.
- ვაფასებთ აღრიცხვის პოლიტიკის შესაფერისობას და სააღრიცხვო შეფასებების და ხელმძღვანელი პირების მიერ მოწოდებული განმარტებების გონივრულობას.
- დავასკვნით ხელმძღვანელი პირების მიერ ბუღალტრული აღრიცხვის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობას და მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით - არსებობს თუ არა ამ მოვლენებთან და პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა სამინისტროს ან/და მისდამი დაქვემდებარებული ერთეულების უნარში, განაგრძონ ფუნქციონირება. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ვალდებული ვართ ყურადღება გავამახვილოთ აუდიტორულ დასკვნაში სათანადო განმარტებებზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ან თუ ასეთი განმარტებები ადეკვატური არ არის, მოვახდინოთ მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები დაფუძნებულია აუდიტორულ მტკიცებულებებზე, რომლებიც მოპოვებულ იქნა აუდიტის დასკვნის თარიღისთვის. თუმცა, მომავალმა მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება ექვეყნებ დააყენოს სამინისტროს ან/და მისდამი დაქვემდებარებული ერთეულების ფუნქციონირების საკითხი.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს. აგრეთვე, უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ოპერაციების და მოვლენების სამართლიანად წარდგენის კრიტერიუმებს.
- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს სამინისტროსადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა შევძლოთ გამოვხატოთ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ აუდიტის

მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და განხორციელებაზე. აგრეთვე, ჩვენ პასუხს
ვაგებთ ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე.

- ხელმძღვანელობას, სხვა საკითხებთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების,
აგრეთვე აუდიტის პროცესში წამოჭრილ მნიშვნელოვან შედეგებზე, მათ შორის, შიდა კონტროლის
სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორთა ხელმოწერა:

სახელი, გვარი

ბიჭიკო ზარქუა

(წამყვანი აუდიტორი)

მამუკა გოგოხია

(წამყვანი აუდიტორი)

შორენა თირქია

(უფროსი აუდიტორი)

შმაგი ჯოჯიშვილი

(აუდიტორი)


ლია გუჯაბიძე

(აუდიტორი)

სიმონ კიპაროიძე

(აუდიტორი)

ხელმოწერა



შ. ჯოჯიშვილი

ლ. გუჯაბიძე



საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ფორმა N1 ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება (ბალანსი)

დასახელება	2016 წლის 31 დეკემბერი	2015 წლის 31 დეკემბერი
აქტივები		
მოკლევადიანი აქტივები		
ფულადი სახსრები	206,593,528	166,025,625
სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	29,207,179	7,113,613
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	252,725,866	229,326,168
სხვა მატერიალური მარაგები	6,264,609	7,079,951
სულ მოკლევადიანი აქტივები	494,791,182	409,545,357
გრძელვადიანი აქტივები		
გრძელვადიანი ფინანსური აქტივები და მოთხოვნები	632,823,335	482,144,961
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	116,356	116,724
ძირითადი აქტივები	3,645,417,149	3,325,946,234
ფასეულობები	300	300
არაწარმოებული აქტივები	61,492,916	42,909,918
სულ გრძელვადიანი აქტივები	4,339,850,056	3,851,118,137
ბალანსი	4,834,641,238	4,260,663,494
ვალდებულებები		
მოკლევადიანი ვალდებულებები და სხვა კრედიტორული დავალიანებები		
მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	163,007,227	134,475,126
სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	14,797,991	8,587,043
სულ მოკლევადიანი ვალდებ. და კრედიტორული დავალიანებები	177,805,218	143,062,169
გრძელვადიანი ფინანსური ვალდებ. და კრედიტორული დავალიანებები	50,706,635	34,187,723
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	50,706,635	34,187,723
სულ ვალდებულებები	228,511,853	177,249,892
კაპიტალი		
აქტივების წმინდა ღირებულება	4,536,654,397	4,007,664,876
გაუნაწილებელი მოგება	69,474,988	75,748,726
სულ კაპიტალი	4,606,129,385	4,083,413,602
ბალანსი	4,834,641,238	4,260,663,494

ფორმა N2 ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგება

დასახელება	ბიუჯეტი	არსაბიუჯეტო სახსრები	სულ	2015 წელი
ბიუჯეტიდან დაფინანსება	971,817,604		971,817,604	898,397,969
შემოსავლები	8,896,881	15,228,543	24,125,424	58,273,133
გრანტები	5,799,025	5,090,388	10,889,413	236,209
სხვა შემოსავლები	3,097,856	10,138,155	13,236,011	58,036,924
ა. ქონებასთან დაკავშირებული შემოსავლები	-	-	-	420
გ. სანქციები, ჯარიმები, საურავები	2,678,011	9,239	2,687,250	1,198,494
ე. სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	419,845	10,128,916	10,548,761	56,838,010
სულ	980,714,485	15,228,543	995,943,028	956,671,102
ხარჯები				
მომუშავეთა ანაზღაურება	8,356,360	3,461,620	11,817,980	12,108,455
საქონელი და მომსახურება	65,629,944	1,448,716	67,078,660	53,977,558
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	73,430,855	774,257	74,205,112	68,957,505
სუბსიდიები	57,954,412	-	57,954,412	41,302,485
გრანტები	17,868,465	6,906	17,875,371	18,639,955
სოციალური უზრუნველყოფა	124,756	105,551	230,307	169,333
სხვა ხარჯები	225,415,090	9,492,494	234,907,584	247,671,838
სულ	448,779,882	15,289,544	464,069,426	442,827,129
ფინანსური შედეგი	531,934,603	(61,001)	531,873,602	513,843,973

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ფორმა N3 ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგება

დასახელება	ხაზინის ერთიანი ანგარიში	საკუთარი ფულადი სახსრები	მესამე პირის გადახდები	სულ
წმინდა ღირებულება/მოგება ზარალი	412,960,888	(6,273,738)	116,028,633	522,715,783
კორექტირებები:	37,912,109	4,347,456	2,814,980	45,074,545
ცვეთა (+)	73,430,855	774,257	-	74,205,112
აქტივების (გარდა მატერიალური მარაგებისა და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივებისა) და ვალდებულებების, არაფულადი ოპერაციებით და სხვა მოვლენებით, წმინდა მიღება (-/+)	(18,414,515)	8,391	29,980,275	11,574,151
მატერიალური მარაგების ზრდა/კლება (-/+)	811,421	3,921	-	815,342
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები (-/+)	367	-	-	367
დებიტორული დავალიანებების ზრდა/კლება (-/+)	(25,960,289)	4,469,319	(24,538,342)	(46,029,312)
კრედიტორული დავალიანებების ზრდა/კლება (+/-)	8,044,270	(908,432)	(2,626,953)	4,508,885
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	450,872,997	(1,926,282)	118,843,613	567,790,328
ფულადი სახსრების ნაკადები არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან				
არაფინანსური აქტივების შესყიდვა	385,535,153	3,955	35,191,361	420,730,469
ძირითადი აქტივები	368,059,716	3,955	35,191,361	403,255,032
არაწარმოებული აქტივები	17,475,437	-	-	17,475,437
წმინდა ფულადი სახსრები არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან	(385,535,153)	(3,955)	(35,191,361)	(420,730,469)
ფულადი სახსრების ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან				
წმინდა ფინანსური აქტივები, გარდა ფულადი სახსრებისა	(66,450,214)	11,968,741	(95,278,005)	(149,759,478)
წმინდა ვალდებულებების წარმოქმნა	28,162,296	3,479,473	11,625,753	43,267,522
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(38,287,918)	15,448,214	(83,652,252)	(106,491,956)
ფულადი სახსრების მარაგების წმინდა ცვლილება	27,049,926	13,517,977	-	40,567,903
ფულადი სახსრების ნაშთი წლის დასაწყისში	134,524,482	31,501,143	-	166,025,625
ფულადი სახსრების ნაშთი წლის ბოლოს	161,574,408	45,019,120	-	206,593,528
ვალუტა და დეპოზიტებით მიღებული კურსთაშორის სხვაობა (-/+)	(2,040,568)	(71,136)	-	(2,111,704)

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ფორმა N4 კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგება

დასახელება	ბიუჯეტი	ეკონომიკური საქმიანობა	სულ
ნაშთი წლის დასაწყისისათვის	4,007,664,876	75,748,726	4,083,413,602
არასაოპერაციო შემოსავლები	37,211,317	149,620	37,360,937
კურსთა შორის სხვაობით მიღებული შემოსავალი	15,253,958	107,055	15,361,013
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	21,957,359	42,565	21,999,924
არასაოპერაციო ხარჯები	38,906,250	5,822,169	44,728,419
კურსთაშორის სხვაობით მიღებული ზარალი	13,640,790	35,919	13,676,709
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	25,265,460	5,786,250	31,051,710
ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები	1,250,149	540,188	1,790,337
ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებებით	1,250,149	-	1,250,149
მოგების გადასახადი	-	540,188	540,188
საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური შედეგი	531,934,603	(61,001)	531,873,602
ნაშთი წლის ბოლოს	4,536,654,397	69,474,988	4,606,129,385

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
ფორმა N5 ბიუჯეტის და ფაქტიური თანხების შედარების ანგარიშგება

დასახელება	ბიუჯეტით დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	გადახრა % დამტკიცებულ და დაზუსტებულ გეგმას შორის	ფაქტობრივი (საკასო) ხარჯი	გადახრა % ფაქტობრივ (საკასო) ხარჯსა და დაზუსტებულ გეგმასა შორის	დარიცხული ხარჯი	გადახრა დარიცხულ და ფაქტობრივ (საკასო) ხარჯს შორის
ხარჯები	362,929,038	395,407,018	109%	405,418,829	103%	448,779,882	43,361,053
მათ შორის:	8,444,000	8,462,000	100%	8,356,134	99%	8,356,359	225
შრომის ანაზღაურება	8,444,000	8,462,000	100%	8,356,134	99%	8,356,359	225
არაფინანსური აქტივების ზრდა	442,030,962	418,818,971	95%	413,092,430	99%	-	-
ფინანსური აქტივების ზრდა	136,040,000	143,875,900	106%	143,951,953	100%	-	-
ვალდებულებების კლება	9,000,000	9,360,011	104%	9,354,395	100%	-	-

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს განმარტებითი შენიშვნები
განმარტებითი შენიშვნები

შესავალი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) 2016 წლის ნაერთი ფინანსური ანგარიშგება შედგება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აპარატის, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის, სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის, სსიპ - ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრისა და სსიპ - ვანო ხუხუნიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრის წლიური ფინანსური ანგარიშგებებისაგან.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მმართველობის სფეროს განეკუთვნება: რეგიონული განვითარების პოლიტიკის შემუშავება, საქართველოში წყლით უზრუნველყოფის განვითარების, მოსახლეობის წყლით მომარაგების სისტემების დანერგვისა და ხელშეწყობის ღონიძიებათა განხორციელების უზრუნველყოფა, საქართველოში (გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა) არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელების მოწყობა, მართვა და დახურვა, საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ქსელის განვითარება, სამხედრო-სამოხილზაციო გეგმების შემუშავებაში მონაწილეობა, თავდაცვისუნარიანობის ამაღლების, სამოხილზაციო და სამოქალაქო თავდაცვის ღონისძიებათა განხორციელების ხელშეწყობა, სამინისტროს გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებზე საზღვარგარეთის ქვეყნებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, იმ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებათა მართვის პოლიტიკის შემუშავება და რეალიზაცია, რომელთა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილები მართვის უფლებით გადაეცა.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) შესაბამისად.

ნაერთი ფინანსური ანგარიშგების შედგენის დროს გამოყენებული იქნა შემდეგი ნორმატიული აქტები:

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“;

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N424 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“;

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ“;

სამინისტროს 2016 წლის ნაერთი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად.

ნაერთი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

- ა) ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშს (ბალანსი) - ფორმა N1;
- ბ) ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშს - ფორმა N2;
- გ) ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშს - ფორმა N3;
- დ) კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშს - ფორმა N4;
- ე) ბიუჯეტის და ფაქტიური თანხების შედარების ანგარიშს - ფორმა N5;
- ვ) ახსნა-განმარტებით ბარათს;

ამასთან, დამატებით დანართების სახით მოცემულია შემდეგი ინფორმაცია:

- ა) ინფორმაცია ორგანიზაციის აქტივების, ვალდებულებების ანგარიშებზე და საცნობარო მუხლებზე არსებული ნაშთების შესახებ - დანართი N1;
- ბ) ორგანიზაციის ანგარიშში შემოსავლების და ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით - დანართი N2;
- გ) ორგანიზაციის ანგარიშში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ - დანართი N3;
- დ) ორგანიზაციის ანგარიშში ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ - დანართი N4;
- ე) ორგანიზაციის ანგარიშში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ - დანართი N5;
- ვ) ორგანიზაციის ანგარიშში არასაოპერაციო შემოსავლებისა და ხარჯების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ - დანართი N6;
- ზ) ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე - დანართი N8;
- თ) ინფორმაცია ორგანიზაციების ანგარიშებზე რიცხული დებიტორულ დავალიანებათა შესახებ - დანართი N9;
- ი) ინფორმაცია ორგანიზაციის ანგარიშებზე რიცხულ კრედიტორულ დავალიანებათა შესახებ - დანართი N10;
- კ) ინფორმაცია დებიტორული დავალიანების შესახებ ორგანიზაციულ ჭრილში - დანართი N11;
- ლ) ინფორმაცია კრედიტორული დავალიანების შესახებ ორგანიზაციულ ჭრილში - დანართი N12.

ნაერთი ფინანსური ანგარიშგება მომზადდა საანგარიშო წლის დასრულებიდან 3 თვეში (არაუგვიანეს პირველი აპრილისა).

ნაერთი ანგარიშგების საანგარიშო პერიოდია მთლიანი კალენდარული წელი, 2016 წლის პირველი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

სამინისტროს ნაერთი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ეროვნულ ვალუტაში (ლარი), რომელიც წარმოადგენს საანგარიშგებო ვალუტას.

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები, გადაიანგარიშება ანგარიშგების თარიღისათვის არსებული ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. ხოლო ოპერაციები საანგარიშო პერიოდში, აღრიცხულია ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

კურსით. საანგარიშო წლის ბოლოს, კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება წმინდა ღირებულების მოგება/ზარალის ანგარიშებზე.

სამინისტროს დაფინანსების წყაროებია: სახელმწიფო ბიუჯეტი, მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტში ასახული მესამე პირის გადახდები (მსოფლიო ბანკი, აზიის განვითარების ბანკი, ევროპის საინვესტიციო ბანკი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, ევროკავშირი, გერმანიის განვითარებისა და რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო, იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო და სხვა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები) და ეკონომიკური საქმიანობით მიღებული (არასაბიუჯეტო) შემოსავლები.

ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიში (ბალანსი):

აქტივები და ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია გრძელვადიან და მოკლევადიან მუხლებად.

აქტივები:

ფულადი სახსრები, მათ შორის: სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე არსებული თანხები, ასევე, ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშებზე.

ფულადი სახსრები ასახულია ნომინალით. უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში გადაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისათვის არსებული ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსით. კურსთაშორის სხვაობა ასახულია (საბიუჯეტო სახსრებით წარმოშობის შემთხვევაში) - „წმინდა ღირებულების“ ანგარიშზე, ხოლო ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლებით წარმოშობის შემთხვევაში - „მოგება-ზარალის“ ანგარიშზე. ფულად სახსრებში ასახულია, სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე რიცხული დეპოზიტები, რომლებიც აღირიცხება, როგორც ფინანსურ აქტივებად, ასევე ვალდებულებებად (არ აღიარდება შემოსავლებად).

ფულადი სახსრების ანგარიში:

ასახულია (206,593,528 ლარი) სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის საკუთარი შემოსავლების ანგარიშზე არსებული თანხები, სასესხო ხელშეკრულებების მიხედვით (ძირი და პროცენტი). ასევე, კომერციულ ბანკებში არსებული მუნიციპალიტეტების თანადაფინანსების ფულადი ნაშთები (მსოფლიო ბანკისა და აზიის განვითარების ბანკის მიერ დაფინანსებული საინვესტიციო პროექტების ფარგლებში), სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის და სსიპ ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის (დონორების მიერ დაფინანსებული პროექტები და სატენდერო მოსაკრებელი) სავალუტო ანგარიშის ნაშთები, საინვესტიციო პროექტების ფარგლებში, გათვალისწინებული სახსრები, ასევე საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სატენდერო მოსაკრებელი.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 25 00 საბიუჯეტო კოდეზე 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სავალუტო ნაშთების რეპორტსა და სახაზინო კოდეზის სავალუტო ნაშთების რეპორტს შორის მიღებული სხვაობა 2,272,828 ლარი, შეიძლება განვიხილოთ როგორც „ფული გზაში“.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივების ანგარიში:

თანხით 29,207,179 ლარი, ასახულია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აპარატის მიერ ზედმეტად გადახდილი საშემოსავლო გადასახადი - 39 ლარი. ამავე ანგარიშზე ასახულია სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის 18,507,535 ლარის მოკლევადიანი ფინანსური აქტივები, რაც მოიცავს ფონდის მიერ სასესხო ხელშეკრულების ფარგლებში გაცემული სესხებიდან მისაღები პროცენტის თანხებს, გაცემული სესხებიდან და საინვესტიციო პროექტების ფარგლებში გაფორმებული კონტრაქტებიდან მისაღები ჯარიმის თანხებს, 2016 წლის მოგების გადასახადის მიმდინარე გადასახდელს, სხვა საგადასახადო აქტივებსა და გრძელვადიანი სასესხო მოთხოვნების მიმდინარე ნაწილს. აღნიშნულ ანგარიშზე, ასევე ასახულია საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 10,688,081 ლარის მოკლევადიანი ფინანსური აქტივები, რაც მოიცავს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებულ პირგასამტეხლოსა და ფულადი დოკუმენტების (საწვავის ტალონების) დანაკლისს და კონტრაქტორისათვის, სამშენებლო სამუშაოების ხარჯვით კომპონენტებზე ფასების ცვლილების კორექტირების შედეგად, ზედმეტად გადარიცხული თანხების მოთხოვნას. სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივების პოზიციებში, ასევე ასახულია სსიპ - ვანო ხუბუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრის მიერ ბიუჯეტში ზედმეტად გადახდილი დამატებითი ღირებულების გადასახადი და საშემოსავლო გადასახადი, თანხით 11,524 ლარი. მოკლევადიანი ფინანსური აქტივები საანგარიშო პერიოდში გაზრდილია 22,093,566 ლარით. რაც გამოწვეულია სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულ კომპანიაზე სატენდერო პირობების დარღვევის გამო დარიცხული ფინანსური სანქციებით; ფონდის მიერ დარიცხული წინა წლებში გაცემული სესხებიდან 2017 წელს დასაბრუნებელი სესხის ძირი და საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოებით და კონტრაქტორისათვის, სამშენებლო სამუშაოების ფასების კორექტირების შედეგად, ზედმეტად გადარიცხული თანხების მოთხოვნით.

სხვა მოკლევადიანი მოთხოვნების ანგარიში:

ასახულია (252,725,866 ლარი) სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ წინასწარ გადახდილი საქონლისა და მომსახურების ღირებულება, ტექნიკის დანაკლისის გამო წარმოქმნილი მოთხოვნა, ანგარიშვალდებულ პირებზე რიცხული სხვა დებიტორული დავალიანებები, მომუშავეთა მიმართ წარმოქმნილი მოთხოვნები და ფონდის სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები. სულ - 106,766,698 ლარი. ამავე ანგარიშზე ასახულია, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ კონტრაქტორ ორგანიზაციებზე საქონლის, მომსახურებისა და აქტივების მოწოდებისათვის ხელშეკრულების საფუძველზე ავანსად გაცემული თანხები, ბალანსზე რიცხული გატაცებული ავტომანქანის ღირებულება და მოთხოვნები მომუშავეთა მიმართ, სულ - 11,138,171 ლარი, აღნიშნულ ანგარიშზე ასევე ასახულია სსიპ - ვანო ხუბუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრის - 14 ლარი (წინასწარ გადახდილი საქონლისა და მომსახურების ღირებულება), სსიპ - ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრის - 128,690,608 ლარი (წინასწარ გადახდილი საქონლის, მომსახურების ღირებულება), ჭიათურის საბაგირო გზების რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში დონორის მიერ მომსახურებაზე წინასწარ გადახდილი 5,366,518 ლარი და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

ინფრასტრუქტურის სამინისტროს აპარატის - 763,857 ლარი (წინასწარ გადახდილი არამატერიალური აქტივების ღირებულება).

აღნიშნული პოზიცია გასულ წელთან შედარებით გაზრდილია - 23,399,698 ლარით, რაც გამოწვეულია საქონლისა და მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული წინასწარი გადახდებით.

გრძელვადიანი ფინანსური აქტივებისა და მოთხოვნების ანგარიში:

ასახულია (632,823,335 ლარი) საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გავლით „ურბანული მომსახურების გაუმჯობესების პროგრამის (წყალმომარაგებისა და წყალარინების სექტორი) (ADB)“ - ქვეპროგრამის ფარგლებში შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაზე“ აზიის განვითარების ბანკის (ADB) მიერ გაცემული სესხი. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ კაპიტალის გაზრდის მიზნით შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაზე“, შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიაზე“, შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიაზე“, შპს „თეთნულდი დეველოპმენტზე“ და შპს „ინფრასტრუქტურის განვითარების კომპანიაზე“ სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის ჩარიცხული თანხები, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ კაპიტალის გაზრდის მიზნით შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიაზე“ გადარიცხული და გადაცემული აქტივების ღირებულება.

ასევე გრძელვადიანი ფინანსური აქტივებისა და მოთხოვნების პოზიციაზე ასახულია სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ გაცემული გრძელვადიანი სესხები. ფონდის ბალანსზე რიცხული გრძელვადიანი ფინანსური აქტივებისა და მოთხოვნებში უმნიშვნელოვანესი კომპონენტია ფონდის მიერ მუნიციპალიტეტებზე გაცემული სესხები. აღნიშნული სესხების დარიცხვას, სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის შემთხვევაში, აქვს სპეციფიური პროცედურა. კერძოდ: კრედიტუნარიან მუნიციპალიტეტთან გაფორმებული საინვესტიციო დაფინანსების ხელშეკრულების შესაბამისად, შერჩეული პროექტის სამშენებლო სამუშაოების ღირებულების დაფინანსება ხორციელდება სამი წყაროდან: სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან, ფონდის საკუთარი სახსრებიდან და მუნიციპალიტეტის წილობრივი თანადაფინანსებიდან. ამასთან, სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან 2016 წლის ჩათვლით შესაბამისი ხარჯების გაწევა ხდებოდა „სხვადასხვა კაპიტალური ხარჯები“-ს მუხლიდან. შესაბამისად, კონტრაქტორის მიერ შესრულებული სამუშაო აღირიცხება ხარჯებში. ამის პარალელურად, შესრულებული სამუშაოს 50%-ის ოდენობით ხდება მუნიციპალიტეტზე გრძელვადიანი სასესხო მოთხოვნის დარიცხვა. (დებეტი: - გრძელვადიანი სესხის ანგარიში; კრედიტი - კაპიტალი). აღნიშნული მიდგომა ფონდის მიერ გამოიყენება მთელი წინა პერიოდის განმავლობაში და დადასტურებულია დონორების მიერ ავტორიზებული აუდიტორების მიერ.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ძირითადი საშუალებები შეფასებულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ცვეთის თანხით. საწყისი ღირებულება მოიცავს ძირითადი აქტივების შესყიდვის ფასს, ასევე ყველა იმ დანახარჯს, რაც დაკავშირებულია შეძენასთან, საკუთრების უფლების მოპოვებასთან და ექსპლუატაციაში შესვლასთან. სამინისტროს აპარატში, სსიპ - ვანო ხუხუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრში და საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში ცვეთის დარიცხვა ხდება „საბიუჯეტო ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრული აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის N439 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად, ხოლო სსიპ - საქართველოს

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

მუნიციპალური განვითარების ფონდში ცვეთის დარიცხვა ხდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად (გამოიყენება წრფივი მეთოდი).

ძირითადი აქტივებისა და არაწარმოებული აქტივების ანგარიში:

2015 წელთან შედარებით შეინიშნება ზრდა 338,053,913 ლარით, რაც მეტწილად გამოწვეულია საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ (ჩქაროსნული ავტომაგისტრალების მშენებლობა) შესრულებული სამუშაოებიდან და მიწის ნაკვეთების გამოსყიდვიდან.

ვალდებულებები:

მოკლევადიანი ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები წინა წელთან შედარებით გაიზარდა 34,7430,49 ლარით, რაც გამოწვეულია სავალუტო ნაშთების ანგარიშგებაში ასახვით. ასევე, განხორციელდა 3245 „ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულება“ ანგარიშიდან 3110 „მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები“ ანგარიშზე გადატანა. აღნიშნულიდან გამომდინარე შეცვლილია წინა წლის ნაშთი.

გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები:

გაიზარდა 34,743,049 ლარით, რაც გამოწვეულია სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის საქართველოს ურბანული რეკონსტრუქციისა და განვითარების პროექტის ფარგლებში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ წარმოქმნილი გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებით, ასევე საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისა და სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ სხვადასხვა კონტრაქტორების მიმართ, სამუშაოს შესრულებიდან ხარისხის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, დაკავებული თანხებით (დაკავებული - 5%, რომლის 2,5% ანაზღაურება ხდება სამუშაოების შესრულებაზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისას, ხოლო მეორე 2,5%-ის ანაზღაურება განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგარანტიო პერიოდის გასვლის შემდეგ).

წმინდა ღირებულება:

წარმოადგენს დამაბალანსებელ მუხლს, რომელიც გაანგარიშებულია საბიუჯეტო სახსრებით განხორციელებულ ხარჯებსა და შემოსავლებს (მ.შ. ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება) შორის სხვაობით.

გაუნაწილებელი მოგების ანგარიში:

ასახულია სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ გასულ წლებში ეკონომიკური საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების გაუნაწილებელი თანხები.

ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიში:

2016 წელს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსათვის მიღებულმა დაფინანსებამ სახელმწიფო ბიუჯეტიდან შეადგინა 971,817,604 ლარი. სხვა შემოსავლებმა (ქონებასთან დაკავშირებული შემოსავლები, საქონლისა და მომსახურეობით მიღებული შემოსავალი, სანქციებითა და ჯარიმებით და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები) შეადგინა - 8,896,881 ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულმა შემოსავლებმა - 15,228,543 ლარი.

2016 წელს ბიუჯეტის ნაწილში ხარჯებმა შეადგინა - 448,779,882 ლარი და ეკონომიკური საქმიანობიდან - 15,289,544 ლარი.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

სულ მიმდინარე წელს შემოსავალმა შეადგინა - 995,943,028 ლარი, ხოლო ხარჯმა - 464,069,426 ლარი. რაც ასევე ასახულია დანართ 2-ში.

ფინანსური შედეგია - 531,873,602 ლარი.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებულია არაპირდაპირი მეთოდი.

ანგარიშგებაში საოპერაციო ხარჯებში აღრიცხულია საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრული მიმდინარე ხარჯები, მათ შორის მატერიალური მარაგებისა (გარდა სტრატეგიული მარაგებისა) და მცირეფასიანი გრძელვადიანი აქტივების შეძენაზე გაწეული ხარჯები. ანგარიშგება დაყოფილია წყაროების მიხედვით და არის სამ-სვეტიანი. ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან შემოსავლებში აღრიცხულია ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების (მათ შორის მიზნობრივი გრანტის სახით მიღებული) თანხები. ანგარიშგება შედგენილია წმინდა ღირებულების ანგარიშის შედეგის კორექტირებებით. კორექტირებულია:

1. ცვეთის თანხებით;
2. დებიტორული დავალიანების ზრდით/კლებით;
3. კრედიტორული დავალიანების ზრდით/კლებით;
4. არაფინანსური აქტივების (გარდა მატერიალური მარაგებისა) წმინდა ცვლილებით მხარჯავ დაწესებულებებსა და საბიუჯეტო ორგანიზაციებს შორის უსასყიდლოდ გადაცემა/მიღების შედეგად;
5. მატერიალური მარაგების წმინდა ცვლილებით მხარჯავ დაწესებულებებსა და საბიუჯეტო ორგანიზაციებს შორის უსასყიდლოდ გადაცემა/მიღების შედეგად.

ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიში:

წმინდა ღირებულება და მოგება-ზარალი:

წმინდა ღირებულებამ და მოგება-ზარალმა შეადგინა - 522,715,784 ლარი.

არაფინანსურ აქტივებზე დარიცხულმა ცვეთამ შეადგინა - 74,205,112 ლარი.

არაფინანსური აქტივების (გარდა მატერიალური მარაგებისა) მიღება-გასვლა:

აღნიშნულ პოზიციაზე ასახულია ძირითადი აქტივების უსასყიდლოდ მიღება და უსასყიდლოდ გასვლას შორის სხვაობა (უსასყიდლოდ მიღებაში ასახულია: დანართი N5-დან - ძირითადი აქტივის არასაოპერაციო შემოსავლებიდან მიღებული - 422,166 ლარი, გრანტად მიღებული - 5,799,025 ლარი, სხვა შემოსავლებით მიღებული - 377,686 ლარი. სულ დანართი N5-დან აქტივების უსასყიდლოდ მიღებამ შეადგინა - 6,598,877 ლარი. დანართი N5-დან აქტივების არასაოპერაციო ხარჯებით არაფინანსური აქტივის გასვლამ შეადგინა - 19,176,484 ლარი, არაწარმოებული აქტივის არასაოპერაციო ხარჯებით გასვლამ (აღნიშნული გამოწვეულია საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ აგარა-ზემო ოსიურის საავტომობილო გზის მშენებარე მონაკვეთზე გამოსყიდული მიწიდან, აუდიტორული დასკვნის საფუძველზე, გამოყოფილი მარაგების ღირებულებით) შეადგინა - 464,000 ლარი, გრანტით გასვლამ შეადგინა - 16,458,523

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ლარი, სხვა ხარჯებით გასვლამ შეადგინა - 776,562 ლარი. ხოლო, სხვა გასვლებიდან 5,387,830 ლარიდან, მხოლოდ 21,312 ლარი მონაწილეობს ძირითადი აქტივების უსასყიდლოდ გასვლაში (აღნიშნული თანხა შეადგენს ს.ს. „სადაზღვევო კომპანია ალფა“-ზე ხელშეკრულების ფარგლებში გადაცემული სამინისტროს აპარატის ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალების ღირებულებას). აღნიშნულმა ოპერაციამ წმინდა ღირებულებაზე იქონია გავლენა, ხოლო დანარჩენი 5,366,518 ლარი შეადგენს ჭიათურის საბაგირო გზების რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში, 2015 წელს „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლში „პირდაპირი გადახდებით“ ასახულ თანხას, რომელიც 2016 წელს დაკორექტირდა და გადატანილ იქნა მოთხოვნებში, ვინაიდან ამ მუხლით ჩარიცხული თანხა შეადგენდა ავანსად ჩარიცხვას. შესაბამისად აღნიშნულ ოპერაციას არ გამოუწვევია წმინდა ღირებულების ცვლილება. ასევე, დანართი N5-ის „გასვლის“ ნაწილში ასახული თანხა (8,819,253 ლარი) წმინდა ღირებულებაზე გავლენა არ მოუხდენია, ვინაიდან აღნიშნული თანხა საანგარიშო წლის პერიოდში ერთი აქტივიდან გადავიდა მეორე აქტივში და უსასყიდლოდ გასვლის ოპერაციაში არ მონაწილეობდა. შესაბამისად დანართი N5-დან უსასყიდლოდ გასვლამ შეადგინა - 36,896,881 ლარი.

დანართი N6-ში „არასაოპერაციო შემოსავლების“ ნაწილში ჯამი შეადგენს - 36,305,625 ლარს (17,116,728+19,188,895=36,305,625), საიდანაც 104,303 ლარი შეადგენს კურსთაშორის სხვაობით გამოწვეულ არასაოპერაციო შემოსავალს, 1,500 ლარი დაკორექტირებულ წინა წლის ფინანსური აქტივს და 19,149,755 ლარი (აუდიტორული დასკვნის შედეგად) დაკორექტირებულ კრედიტორულ დავალიანებას. სულ არასაოპერაციო შემოსავალმა დანართი N6-დან ფორმა N3-ში შეადგინა - 19,255,558 ლარი. სხვაობა 17,050,067 ლარი (36,305,625-19,255,558) არ მონაწილეობს ფორმა 3-ში, ვინაიდან აღნიშნული თანხა უკვე მონაწილეობს დებიტორ-კრედიტორების ნაშთების ცვლილებაში.

დანართი N6-ში „არასაოპერაციო ხარჯების“ ჯამი შეადგენს - 25,087,934 ლარს (20,021,361+5066573=25,087,934). აღნიშნული თანხიდან, მხოლოდ 531,704 ლარი (საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი) მონაწილეობს ფორმა N3-ში. სხვაობა (25,087,934-531,704=24,556,230) 24,556,230 ლარი არის სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის თანხა, რომელიც არ მონაწილეობს ფორმა N3-ში, ვინაიდან აღნიშნულმა თანხამ უკვე გავლენა იქონია დებიტორ-კრედიტორული ნაშთების ცვლილებებზე. სულ უსასყიდლოდ მიღებამ დანართი N5-დან და დანართი N6-დან შეადგინა - 25,854,435 ლარი; აქტივების უსასყიდლოდ გასვლამ დანართი N5-დან და დანართი N6-დან შეადგინა - 37,428,585 ლარი. სხვაობამ უსასყიდლოდ მიღებასა და უსასყიდლოდ გასვლას შორის (კლების კუთხით) შეადგინა -11,574,150 ლარი, რაც ასახულია დადებითი ნიშნით. ამასთან, აღნიშნულ პოზიციაში შიდა ბრუნვები არ არის გათვალისწინებული.

ფინანსური ანგარიშგების დანართი N6-დან არასაოპერაციო შემოსავლებისა და ხარჯების ცვლილებით გამოწვეული გავლენა ფორმა N3-ის 040 სტრიქონში საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის თანხები ასახული არ არის, ვინაიდან აღნიშნულმა ცვლილებებმა უკვე მოახდინეს გავლენა დებიტორ-კრედიტორული ნაშთების ცვლილებებზე (070 და 080 სტრიქონები) და ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების წმინდა ცვლილებაზე (230, 240 სტრიქონები).

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

მატერიალური მარაგები:

საანგარიშო პერიოდში მატერიალური მარაგები, 2015 წელთან შედარებით, შემცირდა - 815,340 ლარით. ძირითადად ეს გამოწვეულია საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ შესრულებული სარეაბილიტაციო სამუშაოებზე დახარჯული მეორადი მასალების გამოყენებით. ასევე, გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები გასულ წელთან შედარებით შემცირდა - 367 ლარით.

დებიტორული დავალიანება:

2016 წელს დებიტორული დავალიანება, 2015 წელთან შედარებით, გაიზარდა - 46,029,312 ლარით. აღნიშნული ზრდა ასახულია უარყოფითი სალდოთი, რაც ძირითადად გამოწვეულია დონორების მიერ განსახორციელებელ პროექტებზე წინასწარი გადახდებით.

კრედიტორული დავალიანება:

2016 წლის კრედიტორული დავალიანება, 2015 წელთან შედარებით, გაზრდილია - 4,508,885 ლარით. აღნიშნული დავალიანება ძირითადად არის სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის და საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხარისხის უზრუნველყოფისათვის დაკავებული 5% , რომლის პირველი 2,5 % ანაზღაურდება სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, ხოლო მეორე 2,5 % მიეცემა ხელშეკრულების პირობების საბოლოო შესრულების შემდეგ.

არაფინანსური აქტივების შესყიდვა:

აღნიშნულ პოზიციაში ასახულია 420,730,469 ლარი, რომელიც მოიცავს ბიუჯეტიდან მიღებულ დაფინანსებას: ძირითადი აქტივების შესაძენად - 395,758,784 ლარი, არაწარმოებული აქტივის შესაძენად - 17,333,646 ლარი. ასევე, სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ (საკუთარი სახსრები) შეძენილი არაფინანსური აქტივების ღირებულებას - 3,955 ლარს, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ ვალდებულების კლებით, წინა წლებში არაფინანსური აქტივების შეძენით წარმოშობილი ვალდებულებების დასაფარად, მიღებულ თანხას - 7,371,414 ლარს, სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ ვალდებულებების კლებით - 103,144 ლარს და სსიპ - ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრის ვალდებულებების კლებით მიღებულ - 141,791 ლარს, საიდანაც დაფარულ იქნა არაწარმოებული აქტივის მიწოდებით დარიცხული კრედიტორული დავალიანება. ამასთან, შესყიდვის ნაწილში ასახულია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აპარატის მიერ „სხვა ხარჯები“-ს მუხლით შეძენილი 17,735 ლარის აქტივი, რომელიც შემდგომში აყვანილ იქნა ბალანსზე, სხვა მანქანა დანადგარების ჯგუფში.

წმინდა ფინანსური აქტივები, გარდა ფულადი სახსრებისა:

აღნიშნულ პოზიციაში ასახული თანხა (- 149,759,479 ლარი), მოიცავს გრძელვადიან ფინანსურ აქტივებსა და გრძელვადიან ფინანსურ მოთხოვნებს, მათ შორის: გრძელვადიან სესხებს, აქციებისა და სხვა კაპიტალის მუხლით გადარიცხულ თანხებს. აღნიშნული თანხა მიიღება 2016 წელს წარმოშობილი ფინანსური აქტივებიდან (დანართი N9: 151,631,174 ლარს გამოკლებული ამ მუხლით მიღებულ დაფინანსება 143,951,953 ლარი და გამოკლებული 3,473,621 ლარი (25 04 01 სახაზინო კოდით ფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გაწეულ საკასო ხარჯს, რომელმაც შეადგინა 3,473,621 ლარი, 2016 წელს სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ფინანსური აქტივის ზრდა არ გამოუწვევია, შესაბამისად ზემოხსენებულმა თანხამ დანართ N9-ში ასახვა ვერ პოვა. ვინაიდან, პროექტის ფარგლებში ქობულეთის მუნიციპალიტეტთან სასესხო

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

ხელშეკრულება გააფორმა საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ და არა სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა, შესაბამისი საკასო ხარჯის გაწევით სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს „ფინანსური აქტივების ზრდა“ არ წარმოექმნა. შესაბამისად, ამ ნაწილში სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის 2016 წლის ფინანსური ანგარიში და სახაზინო სამსახურის მიერ მომზადებული ბიუჯეტის შესრულების ანგარიში ერთმანეთს არ დაემთხვევა). სხვაობამ 2016 წელს წარმოშობილ ფინანსურ აქტივსა და ამ მუხლით მიღებულ დაფინანსებას შორის შეადგინა - 10,684,842 ლარი (151,631,174-140,478,332). აღნიშნული თანხით, რომელიც შედგება დანართი N5-ში „გასვლის“ ნაწილში „აქციები და სხვა კაპიტალის სახით“ 8,819,252 ლარისგან და 1,865,590 (1,865,590 ლარი არის სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ფინანსური აქტივი, რაც ჩამოწერილია არასაოპერაციო ხარჯად და ამავე თანხით მიმდინარე წელს გაიზარდა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აპარატის ფინანსური აქტივი („აქციები და სხვა კაპიტალის“ მუხლი)) ლარისგან, მიმდინარე წელს შემცირდა „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლი და იმავე თანხით გაიზარდა „ფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლი, შესაბამისად 10,684,842 ლარს ცვლილებაში მონაწილეობა არ მიუღია.

იგივე პოზიცია შეიძლება შემდეგნაირად განვიხილოთ, კერძოდ: აღნიშნულ პოზიციაში ასახული თანხა (-149,759,479 ლარი), მოიცავს გრძელვადიან ფინანსურ აქტივებსა და გრძელვადიან ფინანსურ მოთხოვნებს, მათ შორის: გრძელვადიან სესხებს, „აქციები და სხვა კაპიტალის“ მუხლით გადარიცხულ თანხებს. აღნიშნული მიიღება დანართ N1-ში 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ნაშთებს შორის სხვაობით, შემდეგ ანგარიშებზე: 1322 „მოკლევადიანი სესხები არასაბიუჯეტო სახსრებით“ (7,900,357 ლარი), 1511 „გრძელვადიანი საბიუჯეტო სესხები“ (95,278,006 ლარი), 1512 „გრძელვადიანი სესხები არასაბიუჯეტო სახსრებით“ (-13,354,629), 1520 „აქციები და სხვა კაპიტალი“ (63,438,038 ლარი), 1530 „სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივი“ (-9,418,462), 1540 „სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები“ (14,735,421 ლარი). ჯამში აღნიშნული თანხა შეადგენს - 158,578,731 ლარს (95,278,006-13,354,629+63,438,038-9,418,462+14,735,421=158,578,731), რომელშიც არ მონაწილეობს დანართ N5-ში „გასვლის“ ნაწილში ასახული 8,819,252 ლარი, ვინაიდან მიმდინარე წელს განხორციელდა ერთი აქტივის მეორე აქტივში გადატანა და შესაბამისად კაპიტალის ცვლილებაზე გავლენა არ მოუხდენია (158,578,731-8,819,252=149,759,479 ლარი).

ამასთან გაცნობებთ, რომ დანართ N1-ში 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ანგარიშების (1322, 1511, 1512, 1520, 1530, 1540) ნაშთების ჯამი (3,037,997+162,247,003+54,947,384+247,920,730+9,418,462+7,611,382=485,182,958) შეადგენს - 485,182,958 ლარს. დანართ N9-ში გასულ წლებში წარმოშობილი ფინანსური აქტივების ჯამი შეადგენს - 417,720,604 ლარს, სხვაობამ შეადგინა - 67,462,354 ლარი (485,182,958-417,720,604). 2016 წელს წარმოქმნილი ფინანსური აქტივი შეადგენს - 151,163,174 ლარს (იხ. დანართი N9). მიღებულმა თანხამ შეადგინა - 568,883,778 ლარი (485,182,958-67,462,354+151,163,174). 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დანართ N1-ში ფინანსური აქტივების ნაშთი საბალანსო ანგარიშებზე (1322, 1511, 1512, 1520, 1540) შეადგენს - 643,761,689 ლარს (10,938,354+257,525,009+41,592,755+311,358,768+22,346,803=643,761,689). სხვაობა დანართ N1-ში ასახულ 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოქმნილ ფინანსური აქტივების ნაშთსა და მიღებულ თანხას შორის შეადგენს - 74,877,911 ლარს (643,761,689-568,883,778=74,877,911). აღნიშნული სხვაობა - 74,877,911 ლარი წარმოადგენს სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დანართ N1-ში ასახული ფინანსური აქტივებისა და გრძელვადიანი ფინანსური მოთხოვნების ჯამს, რომელიც დანართ N9-ში ფინანსური აქტივის ზრდის მუხლით ასახული არ არის, ვინაიდან მათი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

დაფინანსება (საკასო ხარჯის გაწევა) წინა წლებში „ფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლიდან არ მომხდარა. აღნიშნული ფინანსური აქტივი წარმოადგენს მუნიციპალიტეტებზე გაცემულ სესხებს.

წმინდა ვალდებულებების წარმოქმნა: აღნიშნულ პოზიციაში ასახული 43,267,522 ლარი, წარმოიშვა 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ნაშთებს შორის სხვაობით, შემდეგ საბალანსო ანგარიშებზე: 3110 „ვალდებულებები დეპოზიტებით“ - 28,532,101 ლარი და 3311 „გრძელვადიანი ვალდებულებები საბიუჯეტო სესხებით“ - 14,735,421 ლარი (სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის წარმოშვა გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ, რომელიც შემცირდება ფონდის მიერ ბიუჯეტში შესაბამისი სესხის დაფარვით.) (იხ. დანართი N1).

ფინანსური ანგარიშგების ფორმა N3-ის „საკუთარი სახსრების“ ნაწილში ასახულია სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ნაშთები, პირდაპირი მეთოდით მიიღება შემდეგი გზით:

„საკუთარი სახსრების“ ნაწილში ფულადი ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა - 31,501,143 ლარს; აღნიშნულ თანხას საანგარიშო პერიოდში დაემატა შემოსავლები - 17,171,878 ლარი (დანართი N2); აღნიშნულ თანხას აკლდება 2016 წელს გაწეული საკასო ხარჯები - 13,540,348 ლარი (დანართი N2); ასევე, აკლდება 2016 წელს გაწეული ხარჯები, არაფინანსური აქტივების შეძენით გამოწვეული ხარჯი - 3,955 ლარი (დანართი N3); აკლდება 2016 წელს გაწეული ხარჯები, ვალდებულებების კლებით გაწეული ხარჯი - 1,135 ლარი (დანართი N4); ემატება წინა პერიოდში გაცემული სესხებიდან, 2016 წელს დაბრუნებული ძირი - 12,894,706 ლარი (ფინანსური აქტივების კლება - დანართი N4); ემატება 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტების პროექტების თანადაფინანსების ანგარიშებზე აღრიცხული ნაშთი - 1,112,367 ლარი. აღნიშნული თანხა 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწყის ნაშთში ასახული იყო საბიუჯეტო სახსრების ნაწილში. ვინაიდან, შეიცვალა მეთოდოლოგია და მუნიციპალიტეტების პროექტებიდან 2016 წელს მიღებული თანადაფინანსების თანხები აისახა გრანტის სახით მიღებულ შემოსავლებში, შესაბამისად, ამ ნაწილში საწყისი ნაშთიც გადატანილი უნდა იქნას საკუთარი სახსრების ნაწილში და მიემატოს 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიღებულ ნაშთებს; მიღებულ თანხას (53,134,656 ლარი) აკლდება 1,246,838 ლარი, რომელიც დაკავშირებულია ხაზინაში სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის საკუთარი სახსრების ანგარიშებზე საგარანტიო თანხების ცვლილებასთან. კერძოდ: 2016 წელს სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის საკუთარი სახსრების სახაზინო ანგარიშზე საბანკო გარანტიების გამოთხოვის გზით ჩაირიცხა 2,583,253 ლარი, ხოლო ბიუჯეტში გადარიცხა 3,830,091 ლარი. ამდენად, ბრუნვის სხვაობამ შეადგინა - 1,246,838 ლარი, რითაც შემცირდა პერიოდის დასაწყისში რიცხული ნაშთი. აღნიშნული თანხით შემცირდა ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებებიც (3245 ანგარიში); ზემოხსენებულ მიღებულ თანხას, ასევე აკლდება ხაზინაში მუნიციპალიტეტების პროექტების თანადაფინანსების სადეპოზიტო ანგარიშებიდან 2016 წელს გაწეული საკასო ხარჯი, რამაც შეადგინა - 3,597,028 ლარი. აღნიშნული ხარჯის გაწევა მოხდა ხაზინის სადეპოზიტო ანგარიშიდან, რის გამოც მისი ჩართვა დანართი N2-ის საკასო ხარჯებში ვერ მოხდა, თუმცა, ფულადი ნაშთის გამოთვლისას გამოკლებულ უნდა იქნას; აღნიშნულ თანხას ემატება სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის საკუთარი სახსრების სავალუტო ანგარიშებზე რიცხული (საკურსო სხვაობით მიღებული მეტობა) თანხები. კერძოდ: საკურსო სხვაობით გამოწვეული დეპოზიტის ზრდამ შეადგინა - 764,244 ლარი; აღნიშნულ თანხას აკლდება ხაზინაში სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის საკუთარი სახსრების ანგარიშიდან ბიუჯეტში გადარიცხული - 35,918 ლარი, რომელიც

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ანგარიშზე წინა პერიოდში ჩარიცხული იქნა სს „ფინკა ბანკის“ მიერ დეპოზიტზე, დარიცხული პროცენტის სახით. აღნიშნული თანხა წინა პერიოდში ასახული იყო სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის შემოსავალში, მაგრამ საანგარიშო პერიოდში სს „ფინკა ბანკის“ მიერ განხორციელებული გადაანგარიშების გამო, გადაირიცხა სახელმწიფო ბიუჯეტში. აღნიშნული ფულადი ოპერაციით სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის კაპიტალის შემცირება მოხდა აღნიშნული თანხის არასაოპერაციო ხარჯში გატარების გზით.

კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიში:

კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშში თავს იყრის ისეთი ინფორმაცია, რომელიც გავლენას ახდენს კაპიტალის მოცულობაზე, მათ შორის: საანგარიშო პერიოდის ფინანსური შედეგი, აქტივების და ვალდებულებების რაოდენობრივი ცვლილებები, გადაფასების შედეგად მიღებული ნამეტი/დანაკლისი, კურსთაშორის სხვაობით მიღებული მოგება ან ზარალი და სხვა.

საანგარიშო პერიოდის ბოლოს შემოსავლებით და ხარჯებით დაანგარიშებული ფინანსური შედეგი, ფლობით მიღებულ მოგება-ზარალთან ერთად, აისახება აღნიშნულ ანგარიშში.

ბიუჯეტის და ფაქტიური თანხების შედარების ანგარიში:

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის და „სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N424 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მოთხოვნები, ხარჯების გაწევის თაობაზე, დაცულია. მხარჯავი დაწესებულებების მიერ გადახრა, როგორც დაზუსტებულ საეგემო პარამეტრებზე, ასევე ვალდებულებების მოცულობაზე არ ფიქსირდება. ხოლო, გადახრამ ფაქტობრივ და საკასო ხარჯს შორის შეადგინა - 43,361,053 ლარი. აღნიშნული გადახრა ძირითადად გამოწვეულია: სამინისტროს მიერ ადმინისტრაციული შენობის ნაწილის უსასყიდლოდ გადაცემით, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტზე და საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ მუნიციპალიტეტებზე აქტივების გადაცემით. ასევე, ფაქტიურ ხარჯებზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ძირითადი აქტივების მოხმარებამ.

ფინანსური ანგარიშგება, დანართების სახით მოიცავს დამატებით ინფორმაციას.

დანართ N1-ში საბალანსო ანგარიშებზე 1270 „დეპოზიტები ხაზინაში უცხოურ ვალუტაში“ და 1280 „ხაზინის სავალუტო ანგარიში“ ასახულია სავალუტო ანგარიშების ნაშთები. სხვაობა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სავალუტო ნაშთების რეპორტსა და სახაზინო კოდების სავალუტო ნაშთების რეპორტს შორის შეადგინა - 2,272,828 ლარი, რომელიც შეიძლება განვიხილოთ, როგორც „ფული გზაში“.

საბალანსო ანგარიშზე 1355 „მოთხოვნები ფულად სახსრებზე და მათ ექვივალენტებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით“ 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასახული 10,282,919 ლარი არის კონტრაქტორისათვის, სამშენებლო სამუშაოების ხარჯვით კომპონენტებზე ფასების ცვლილების კორექტირების შედეგად, ზედმეტად გადარიცხული თანხა. 2016 წელს კონტრაქტორ ორგანიზაციას შეუმცირდა წინა წელს შესრულებული სამუშაოები - 18,842,752 ლარით და ამავდროულად, უკან დაბრუნების მიზნით, კონტრაქტორისგან მოთხოვნილ იქნა ზედმეტად გადახდილი თანხა - 18,842,752 ლარი, რომელიც გატარდა საბალანსო ანგარიშზე 1355. 2016 წელს დამკვეთსა და კონტრაქტორს შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, დაიდო ხელშეკრულება - „კორექტირებები ფასების ცვლილებებში“ და მოთხოვნებისა და

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

ვალდებულებების ურთიერთგადაფარვაზე თანხით - 18,842,752 ლარი. აღნიშნული თანხიდან 2016 წელს დაიფარა 8,559,833 ლარი, მათ შორის: 6,701,163 ლარით დაიფარა 2016 წელს წარმოშობილი ვალდებულება, ხოლო 1,858,670 ლარით დაიფარა წინა წლებში წარმოქმნილი კრედიტორული დავალიანება. დანართ N5-ში „შესყიდვები მიმდინარე პერიოდის გადახდებით“ ასახულია მიმდინარე წლის შესრულების დაფარვა არაფინანსური აქტივის კუთხით - 6,701,163 ლარი.

1432 „მოთხოვნები არაფინანსური აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით“ 2016 წელს დაკორექტირდა 5,366,518 ლარით. ვინაიდან, აღნიშნული თანხა წარმოადგენს ჭიათურის საზაგერო გზების რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში 2015 წელს პირდაპირი გადახდებით არაფინანსური აქტივების მუხლით მიღებულ დაფინანსებას. ამ მუხლით მიღებული დაფინანსება 2015 წლის ბალანსში ასახული იყო არაფინანსური აქტივის მიღებით. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციით 2016 წელს დაკორექტირდა და არაფინანსური აქტივიდან გადატანილ იქნა 1432 „მოთხოვნები არაფინანსური აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით“ ანგარიშზე. ვინაიდან, დაფინანსება იყო მიღებული 2015 წელს და შესაბამისად წარმოშობილი მოთხოვნა დანართ N9-ში აისახა 2015 წელს.

გაცნობებთ, რომ 2015 წლის დანართ N9-ში მოხდა მექანიკური შეცდომა არაფინანსური აქტივების და ფინანსური აქტივების ნაშთებზე, რაც შესაბამისად ახდენს გავლენას 2016 წლის მონაცემებზე. აღნიშნული გათვალისწინებულ იქნა და დაკორექტირდა 2016 წლის დაზუსტებულ ბალანსში.

1511 „გრძელვადიანი საბიუჯეტო სესხები“ - 257,525,009 ლარი 2017 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით, აზიის განვითარების ბანკის (ADB) მიერ ასახულია, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გავლით, „ურბანული მომსახურების გაუმჯობესების პროგრამა (წყალმომარაგებისა და წყალარინების სექტორი) (ADB)“ ქვეპროგრამაში, „ქუთაისის მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროექტის“ ფარგლებში ევროკავშირის (EU) და გერმანიის საინვესტიციო ბანკის (KfW) მიერ და „ქვემო ქართლის ნარჩენების მართვის პროექტის“ ფარგლებში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) და შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს (SIDA) მიერ გაცემული სესხები.

1512 „გრძელვადიანი სესხები არასაბიუჯეტო სახსრებით“ მოიცავს სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის „გრძელვადიან სესხებს“, სადაც ასახულია გრძელვადიანი მოთხოვნები, რომელიც გაცემულია სესხის (ძირითადი თანხა) სახით - 41,592,755 ლარი.

1520 „აქციები და სხვა კაპიტალი“ ასახულია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ კაპიტალის გაზრდის მიზნით შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაზე“, შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიაზე“, შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიაზე“ (შპს „საგზაო ტექნიკა“), შპს „ინფრასტრუქტურის განვითარების კომპანიაზე“ და შპს „თეთნულდი დეველოპმენტზე“ გადარიცხული და გადაცემული ქონება, სულ ჯამში - 311,358,768 ლარი.

1540 „სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები“ ანგარიშზე 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასახულია სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ და „სახელმწიფო საპარტნიორო ფონდის“ მიმართ აღრიცხული ფინანსური მოთხოვნა - 7,611,382 ლარი და 14,735,421 ლარის გრძელვადიანი ფინანსური მოთხოვნა მუნიციპალიტეტების მიმართ. სულ ჯამში - 22,346,803 ლარი. აღნიშნული ფინანსური აქტივის წარმოქმნა არ არის შესაბამისობაში ხაზინის ანგარიშებიდან განხორციელებულ ფინანსური ოპერაციების მუხლობრივ კლასიფიკაციასთან. კერძოდ,

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

აღნიშნული ხარჯის გაწევა განხორციელდა 2016 წლის ბიუჯეტის 250320 სახაზინო კოდის კრედიტის ნაწილიდან - სხვა ხარჯების მუხლით. შესაბამისად, აღნიშნული საკასო ხარჯის შესაბამისი შესრულება ასახულია ფაქტიურ ხარჯებში, ხოლო ხარჯის აღიარების შემდეგ, 1540 ანგარიშის კაპიტალთან კორესპონდენციით მოხდა ახალი გრძელვადიანი ფინანსური მოთხოვნის დარიცხვა. ეს გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ აღნიშნული სახსრებით შეძენილი ტექნიკა მუნიციპალიტეტებს გადაეცათ სესხის სახით, მაგრამ საანგარიშო წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტებთან არ იყო გაფორმებული სასესხო ხელშეკრულებები, რამაც გამოიწვია აღნიშნული თანხის გრძელვადიან მოთხოვნებში ასახვა სასესხო ხელშეკრულებების მოთხოვნების სახით.

დანართ 1-ში ვადაგადაცილებული კრედიტორული დავალიანებების ანგარიშზე აღრიცხული იქნა ყველა მიმდინარე კრედიტორული დავალიანება (3100+3200), გარდა 3110 საბალანსო ანგარიშზე აღრიცხული დონორების სავალუტო სახაზინო ანგარიშებზე განთავსებული თანხებით წარმოქმნილი სადეპოზიტო ვალდებულებებისა. ამასთან დაკავშირებით 2015 წელს ვადაგადაცილებული კრედიტორული დავალიანებები დაკორექტირდა და შესაბამისად, წარმოდგენილ ანგარიშგებაში საცნობარო მუხლის 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ვადაგადაცილებული კრედიტორული დავალიანების ნაშთებიც დაკორექტირდა.

დანართ 2-ში ეკონომიკური საქმიანობიდან 2016 წელს გრანტის სახით მიღებული საკასო შემოსავალია 7,468,610.82 ლარი. ხოლო ფაქტობრივად ეკონომიკური საქმიანობით გრანტის სახით მიღებული შემოსავალია 5,090,388 ლარი. დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ მთავრობის განკარგულების შესაბამისად სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს საკუთარი შემოსავლების ანგარიშზე ჩაერიცხა 3,750,000 ლარი. აღნიშნული თანხა ჩარიცხულია საკუთარი სახსრების 707337003 სახაზინო კოდზე (კაპიტალური გრანტები) და 2016 წლის ფინანსურ ანგარიშგებაშიც ასახულია ფაქტიური და საკასო შემოსავლების ნაწილში. აღნიშნული თანხების მოძრაობა ასახულია ფინანსური ანგარიშგების ფორმა N2-ში და დანართ N2-ში.

სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსებისათვის მუნიციპალიტეტები ფონდს ხაზინის შესაბამის სადეპოზიტო ანგარიშზე ურიცხავენ საკუთარ წილობრივ თანადაფინანსებას, რომელსაც შემდგომში ფონდი მიმართავს პროექტების დაფინანსებაზე. აღნიშნული თანხები 2016 წელს აღირიცხებოდა ხაზინაში არსებულ ფონდის სადეპოზიტო ანგარიშზე, ხოლო 2017 წლიდან აღირიცხება საკუთარი სახსრების ანგარიშზე, როგორც „გრანტად“ მიღებული შემოსავლები. ამ წყაროდან სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის სადეპოზიტო ანგარიშებზე მუნიციპალიტეტებმა 2016 წელს ჩარიცხეს 3,718,611 ლარი (იმავე პერიოდში ფაქტიური/დარიცხული შემოსავალი შეადგენს - 1,340,388 ლარს), რაც ასახული იქნა „გრანტის“ სახით მიღებულ შემოსავლებში. ვინაიდან აღნიშნული თანხების მოძრაობა 2016 წელს ხორციელდებოდა ხაზინის 7800 „სადეპოზიტო ანგარიშზე“, ხაზინის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგებაში არ არის ასახული „გრანტად“ მიღებული შემოსავლის სახით.

ამდენად, საკუთარი სახსრების ნაწილში „გრანტად“ მიღებული საკასო შემოსავალი შეადგენს: 7,468,610 ლარი = 3,750,000 ლარი + 3,718,610 ლარი, ხოლო საკუთარი სახსრების ნაწილში „გრანტად“ მიღებული დარიცხული შემოსავალი შეადგენს: 5,090,388=1,340,388 ლარი + 3,750,000 ლარი.

სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის საკუთარი სახსრების შემოსავლების ნაწილში ხაზინის მიერ აღრიცხული შემოსულობებია 13,082,727 ლარი. აღნიშნულ თანხას უნდა დაემატოს 58,560 ლარი, ვინაიდან ზოგიერთ მუნიციპალიტეტს, ნაცვლად 7501 „მუნიციპალიტეტზე გაცემული სესხის დაგვიანებით გადახდის გამო დარიცხული ჯარიმა“ და 7006 „მუნიციპალიტეტზე გაცემული სესხიდან საპროცენტო

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

შემოსავალი“ კოდებისა, თანხის ნაწილი ჩარიცხული აქვთ ბიუჯეტის შემოსულობების კოდზე 7531 „სესხის ძირის დაფარვა“, შესაბამისად, ხაზინის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში ეს თანხები ასახული იქნება „ფინანსური აქტივების კლების“ მუხლში, ხოლო სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს აღრიცხული აქვს, როგორც საპროცენტო შემოსავალი. აღნიშნულს ასევე ემატება ფონდის საკუთარი სახსრების სავალუტო ანგარიშის N799780270 სავალუტო კოდზე შემოსავლების სახით 2016 წელს უცხოურ ვალუტაში მიღებული თანხები (აშშ დოლარში და ევროში), რომლის ექვივალენტი ლარებშიც შეადგენს 312,095 ლარს. აღნიშნულ თანხას აკლდება 7003 კოდით „გრანტის“ სახით მიღებული 3,750,000 ლარი, ვინაიდან ეს თანხები ასახულია „გრანტად“ მიღებულ შემოსავლებში. ამდენად, აღნიშნული კორექტირებების შემდეგ ვღებულობთ 9,703,382 ლარს, რაც ასახულია ფონდის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების დანართ N2-ის საკასო შემოსავლების ნაწილში. კერძოდ: 13,082,727 ლარი + 58,560 ლარი + 312,095 ლარს - 3,750,000 ლარი = 9,703,382 ლარი.

2015 წლის ფინანსურ ანგარიშგების დანართ N9-ში არაფინანსური აქტივების მუხლში, 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასახულია თანხა 162,718,662 ლარი. აღნიშნული თანხა, ასევე ასახულია 2016 წლის ფინანსურ ანგარიშგების დანართ N1-ში 1432 საბალანსო ანგარიშზე, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. 2016 წლის დანართი N9-ის მონაცემებით წინა წლის დასაფარი ავანსები შეადგენს - 124,680,515 ლარს. სხვაობა 38,038,147 ლარი (162,718,662-124,680,515=38,038,147) განიხილება, როგორც მიმდინარე წელს დაფარული წინა წლის ავანსები. სხვაობა რეალურად 2016 წელს დაფარულ ავანსებსა (43,404,666 ლარი) და დანართი N9-დან წინა წლებში წარმოშობილ და 2016 წელს დაფარულ ავანსებს შორის (38,038,147 ლარი) შეადგენს 5,366,519 ლარს. აღნიშნული გამოწვეულია შემდეგი გარემოებით, კერძოდ: 2016 წელს დაკორექტირდა 1432 საბალანსო ანგარიში - 5,366,519 ლარით. აღნიშნული თანხა წარმოადგენს ჭიათურის საბაგირო გზების რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში, 2015 წელს პირდაპირი გადახდებით „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით მიღებულ დაფინანსებას. ამ მუხლით მიღებული დაფინანსება 2015 წლის ბალანსში ასახული იყო არაფინანსური აქტივის მიღებით. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციით 2016 წელს დაკორექტირდა არაფინანსური აქტივი და გადატანილ იქნა 5,366,519 ლარი 1432 „მოთხოვნები არაფინანსური აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით“ ანგარიშზე. ვინაიდან დაფინანსება იყო მიღებული 2015 წელს, 2016 წლის ფინანსურ ანგარიშგების დანართ N9-ში წარმოშობილი მოთხოვნა ასახულია 2015 წელს. აღნიშნულმა იქონია გავლენა დანართ N9-ზე და 5,366,519 ლარით შეამცირა 2016 წელს დაფარული დებიტორული დავალიანება.

წინა წლების ავანსები 2016 წელს შემცირებულია 43,404,666 ლარით. მათ შორის: 452,657 ლარი - წინა წლის ავანსიდან გამოუყენებელი თანხა, რომელიც დაბრუნდა ბიუჯეტში, 531,704 ლარი - კურსთაშორის სხვაობა, რაც ასახულია არასაოპერაციო ხარჯებში. ბიუჯეტში დაბრუნებული და ხარჯებში ჩამოწერილი კურსთაშორის სხვაობა არ მონაწილეობს დანართ N5-ში „შესყიდვა წინა წლების არაფინანსური აქტივების ავანსების შემცირებით“ პოზიციაში. დანართ N5-ში ასახულია სხვაობა 42,420,305 ლარი (43,404,666-452,657-531,704=42,420,305).

2016 წელს არაფინანსური აქტივის შესაძენად საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაფინანსებამ შეადგინა - 413,092,428 ლარი (იხ. დანართი N3), ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულმა შემოსავალმა - 3,955 ლარი, სულ ჯამში დაფინანსებამ შეადგინა - 413,096,385 ლარი. 2016 წელს წარმოშობილმა დებიტორულმა დავალიანებამ შეადგინა - 19,318,824 ლარი (იხ. დანართი N9), 2016 წელს განხორციელდა - 395,275,499 ლარის არაფინანსური აქტივის შეძენა (იხ. დანართი 5),

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

ასევე შეძენილია არაწარმოებული აქტივი (მიწა) - 19,046,998 ლარის ოდენობით (იხ. დანართი N5). ამ მუხლით მიღებულ შემოსავალსა და გაწეულ ხარჯს შორის სხვაობამ შეადგინა 20,544,936 ლარი ($413,096,385 - 19,318,824 - 395,275,499 - 19,046,998 = 20,544,936$). 2016 წელს წარმოშობილმა კრედიტორულმა დავალიანებამ შეადგინა - 13,645,998 ლარი (იხ. დანართი N10). მიღებულ დაფინანსებასა და ხარჯებს შორის წარმოშობილ სხვაობასა ($20,544,936$ ლარი, რომელიც განხილულ უნდა იქნეს, როგორც 2016 წელს წარმოშობილი კრედიტორული დავალიანება) და დანართ N10-ში ($20,544,936 - 13,645,998 = 6,898,938$) 2016 წელს წარმოშობილმა კრედიტორულ დავალიანებას შორის სხვაობა შეადგენს - 6,898,938 ლარს. აღნიშნული გამოწვეულია შემდეგი გარემოებით: მიმდინარე წლის დაფინანსებიდან 6,701,163 ლარი, დამკვეთსა და კონტრაქტორს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, ურთიერთშეთანხმების თანახმად მოხდა მოთხოვნებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა. ასევე, მიმდინარე დაფინანსებიდან 66,033 ლარით დაიფარა გასული წლის კრედიტორული დავალიანება, 141,791 ლარით ვალდებულების კლებით დაიფარა მიმდინარე წლის დავალიანება, კურსთაშორის სხვაობიდან გამომდინარე - 104,303 ლარით ნაკლები იქნა გადარიცხული კონტრაქტორზე, 17,715 ლარით გაიზარდა მიმდინარე წლის არაფინანსური აქტივის შესყიდვა, რომელიც შეძენილია „სხვა ხარჯების“ მუხლით და შემდგომ აყვანილია ბალანსზე, არაფინანსურ აქტივად ($6,701,163 - 66,033 + 141,791 + 104,303 + 17,715 = 6,898,939$ ლარი).

ფინანსურ ანგარიშგებაში, ასევე დანართებში შიდა ბრუნვები არ არის გათვალისწინებული.

